საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/185

ქ. ბათუმი 22 ნოემბერი 2019 წელი

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 სექტემბრის N01-02/139 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის I-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის საშემოდგომო მიღების სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 ნოემბრის N01-08/705 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 ნოემბრის N156417 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს დამატება „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 სექტემბრის N 01-02/139 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ **დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:**

„1[1]. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს დანართი 2-ის შესაბამისად **(დანართი 2).**

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადგილსამყოფელის, ბსუ-ს ფაკულტეტების (ტექნოლოგიური ფაკულტეტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის) საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, შესაბამის ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2019 წლის შემოდგომაზე სასწავლო პროცესის დაწყების, საწარმოო პრაქტიკისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 სექტემბრის N 01-02/139 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 ნოემბრის N 01-02/180 ბრძანების

დანართი 2

2019 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოდი, დასახელება, სწავლების საფეხური	პროგრამის განხორციელების ვადები	საუდიტორიო მეცადინეობების დაწყება და დასრულება	საწარმოო პრაქტიკის დაწყება და დასრულება (განისაზღვროს შემდეგში)	პრაქტიკის დაცვა (განისაზღვროს შემდეგში)	კვალიფიკაციის მინიჭება (განისაზღვროს შემდეგში)
1	მეფუტკრე (III საფეხურის, მოდულური)	25.11.2019-20.03.2021	25.11.2019-26.06.2020	-	-	-
2	ვებ ინტერფეისის დიზაინერი (III საფეხურის, მოდულური)	25.11.2019-28.11.2020	25.11.2019-25.07.2020	-	-	-
3	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (III საფეხურის, მოდულური)	25.11.2019-28.11.2020	25.11.2019-25.07.2020	-	-	-
4	ბიბლიოთეკარი (IV საფეხურის, მოდულური)	25.11.2019-17.07.2021	25.11.2019-26.06.2020	-	-	-
5	არქიტექტორ - ტექნიკოსი (IV საფეხურის, მოდულური)	25.11.2019-17.04.2021	25.11.2019-26.06.2020	-	-	